განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

**ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:**

**ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:**

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2026 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს.

**ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:**

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

**ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:**

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

**ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:**

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

**ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:**

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი არის 2026 წლის ბიუჯეტის პირველადი ვარიანტი, აქტიური კონსულტაციები გაიმართება მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიიის სხდომებზე და შესაბამისად მოხდება ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის ფორმირება.

**ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2026-2029 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2026 წლისთვის ეკონომიკური ზრდის ტემპი განსაზღვრულია 5,3 პროცენტით (ფინანსთა სამინისტროს კონსერვატიული პროგნოზით). აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის $155^1$ მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

**ბიუჯეტის პარამეტრები**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 38124.0 ათასი ლარი, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში 2232.0 ათასი ლარით მეტია, ანუ ზრდის ტემპი 6.22%-ი. აქედან:

**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები**

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები - საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და $6^1$-ე პუნქტების გათვალისწინებით, შეესაბამება საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2026 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 34 278.0 ათას ლარს შეადგენს. 2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში 1835.0 ათასი ლარით მეტია (5.7%-ით).

**2026 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:**

- ქონების გადასახადი 5 200,0 ათასი ლარი.
- დამატებითი ღირებულების გადასახადი 29078.0 ათასი ლარი. ანუ 2025 წელთან შედარებით 1835.0 ათასი ლარით მეტი.

**2026 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:**

- **გრანტის** სახით, დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება ( დელეგირებული უფლებამოსილება) 320.8 ათასი ლარი. მათ შორის:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 290.8 ათასი ლარი.

ბ) „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ -3.0 ათასი ლარი.

გ) საქართველოს კანონმდებლობით, ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დაფინანსება 27.0 ათასი ლარი .

-გარდა ამისა 2026 წელს შესაძლებელია განხორციელდეს მუნიციპალიტეტებისათვის საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილების დელეგირება.

მუნიციპალიტეტებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის უფლებამოსილების დელეგირება - „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება“.

მუნიციპალიტეტებისათვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოვლა-პატრონობის უფლებამოსილების დელეგირება „საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარება“ .

-რაც შეეხება კაპიტალურ გრანტებს, შემოდინება მოხდება 2026 საბიუჯეტო წლის განმავლობაში, მთავრობის განკარგულებიდან გამომდინარე.

**2026 წელს ბიუჯეტის შემოსავლების შევსების წყაროს წარმოადგენს** სხვა შემოსავლები ანუ არასაგადასახადო შემოსავლები, რომელიც განსაზღვრულია 3475.2 ათასი ლარით ანუ 2025 წელთან შედარებით გაზრდილია 375.8 ათასი ლარით. მათ შორის:

**შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 371.6 ათასი ლარის ოდენობით, მათშორის:**

-დეპოზიტზე დარიცხული პროცენტი 251.6 ათასი ლარი.
-ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის გადასახადი 110.0 ათასი ლარი.

-მიწის იჯარის შემოსავალი 10,0 ათასი ლარი.

**შემოსავლები საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 255.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

- -სანებართვო მოსაკრებელი 35.0 ათასი ლარი.
- -ადგილობრივი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის მოსაკრებელი 200.0 ათასი ლარი.
- ქონების იჯარის გადასახადი 20,0 ათასი ლარი.

**შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 2813.6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

- შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის წესის ხელმყოფი სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 30,0 ათასი ლარი.
- საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო 2553.6 ათასი ლარი.
- შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მმართველობის წესის ხელმყოფი სხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 30,0 ათასი ლარი.
- შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო 50.0 ათასი ლარი.
- შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან 50,0 ათასი ლარი.
- სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალი 50.0 ათასი ლარი.
- სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებული შემოსავლები 50.0 ათასი ლარი.

**არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან შემოსავალი 50.0 ათასი ლარი, რაც 2025 წლის პროგნოზის იდენტურია;**

## მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

**ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 38 124.0 ათას ლარს ანუ 2025 წელის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით 2232.0 ათასი ლარით იზრდება.**

მათ შორის ( ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით):

- შრომის ანაზღაურება 4597.8 ათასი ლარი აქედან: თანამდებობრივი სარგო 4161.5 ათასი ლარი, ჯილდო-პრემია 1 თვის ხელფასის ოდენობით 294.2 ათასი ლარი, დანამატი142.1 ათასი ლარი.
- საქონელი და მომსახურება 1637.2 ათასი ლარი ანუ 156.2 ათასი ლარით მეტი. აქედან: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 683.9 ათასი ლარი ანუ 115.2 ათასი ლარით მეტი, მივლინება 42.2 ათასი ლარი. ოფისის ხარჯები 273.4 ათასი ლარი.
- სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე გადასახდელი პროცენტი 3.2 ათასი ლარი.
- გრანტები 202.5 ათასი ლარი.
- სუბსიდია 17487.6 ათასი ლარი ანუ 3327.1 ათასი ლარით მეტი.
- სოციალური უზრუნველყოფა 3059.2 ათასი ლარი ანუ 275.6 თასი ლარით მეტი.
- სხვა ხარჯები 1250.4 ათასი ლარი ანუ 19.5 ათასი ლარით მეტი.
- არაფინანსური აქტივების ზრდა 8781.9 ათასი ლარი ანუ 2473.9 ათასი ლარით ნაკლები.
- ვალდებულებების კლება 104.3 ათასი ლარი.

2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები, მათ შორის თანამშრომელთა ხელფასების ზრდა,აღნიშნული გამომდინარეობს 2026 წლის სახლემწიფო ბიუჯეტის პროექტის გათვალისწინებით, რადგან 24-ე მუხლის 2-ე პუნქტით 2026 წელს, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1600 ლარის ოდენობით, ნაცვლად 1460 ლარისა.

მუნიციპალიტეტში ა(ა)იპ-ების ჩათვლით, ირიცხება 1129.8 საშტატო ერთეული. აქედან: მმართველობაში 155 საშტატო ერთეული, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ი)პ-ებში 974.8 საშტატო ერთეული. სახელფასო

ფონდი ა(ი)პების ჩათვლით, შეადგენს 16753.8 ათას ლარს. აქედან: მმართველობაში 4597.8 ათასი ლარი, ხოლო ა.ა(ი) პ-ებში 12156.0 ათასი ლარი. ერთი საშტატო ერთეულის თვის ხელფასი საშუალოდ მმართველობაში შეადგენს - 2472 ლარს,ხოლო ა(ა)იპ-ში 1039.00 ლარს.

გარდა საშტატო ერთეულებისა, მუნიციპალიტეტში ხელშეკრულებით დასაქმებულია 42 არასაშტატო ერთეული , რომელთა ხელფასები ასახულია ბიუჯეტში საქონელი და მომსახურეობის მუხლში და იგი შეადგენს 738.8 ათასი ლარს. მათ შორის: მმართველობაში 683.9 ათასი ლარი, ა(ა)იპ-ებში 54.9 ლარი. საშუალოდ თვეში ერთ მომუშავეზე ანაზღაურება1468.00 ლარია.

**ბიუჯეტის გადასახდელები (ასიგნებები) პრიორიტეტების მიხედვით**

**0200 ინფრასტრუქტურის განვითარება სულ 10379.1 ათასი ლარი .**
**0201 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება სულ 8840.2 ათასი ლარი, აქედან:.**

**020101 გზების მიმდინარე შეკეთება სულ 620.0 ათასი ლარი. მათ შორის:**
- გზების თოვლისგან გაწმენდა 100.0 ათასი ლარი.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ადმინისტრაციულ ერთეულებში გზებზე ავარიულ მონაკვეთზე ორმული დამუშავებისათვის 500.0 ათასი ლარი.
- მუნიციპალიტეტში უძრავ ქონებაზე სათანადო ტექნიკური საველე საკადასტრო აღწერითი და აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების ჩატარებას და ასევე მიწის ნაკვეთების დაკვალვას და წერტილების აღების (X და Y კოორდინატებში) მომსახურებისათვის 20.0 ათასი ლარი.

**020102 გზების კაპიტალური შეკეთება სულ 8220.2 ათასი ლარი.**

მათ შორის:

**სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და მუნიციპალიტეტის შორის 2016 წელის 11 მაისს გაფორმებული** საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულებიდან გამომდინარე დასაფარი სესხის ძირითადი თანხა 2026 წელს შეადგენს 61.7 ათას ლარს, ხოლო გადასახდელი პროცენტი 1.2 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მიმდინარე წელს გარდამავალ ობიექტებზე აღებულია ვალდებულება, **2026.5 ათასი** ლარი. კერძოდ:

- სოფელ ილემში მესხიშვილი-ბუხრაშვილების საუბნო გზის რეაბილიტაცია 100.0 ათასი ლარი;
- სოფელ შროშაში ეკლსიის უბნის და ზემო თაბაგრების გზის რეაბილიტაცია 302.4 ათასი ლარი.
- სოფელ პირველ სვირში კოხრის დასახლებაში გზის რეაბილიტაცია 133.2ათასი ლარი.
- პირველ სვირის (ახალი დასახლება, საჭაჭიაშვილოს უბანი ,სპირტსტროისთან) გზის რეაბილიტაცია 132.8 ათასი ლარი.
- სოფელ ქვედა საზანოში მე-7 ქუჩის გზის რეაბილიტაცია153.6 ათასი ლარი;
- სოფელ ქვედა საზანოში ეწრის უბნის გზის რეაბილიტაცია 282.5ათასი ლარი;
- სოფელ ლელაძისეულისა და ღვერკის საუბნო გზის რეაბილიტაცია156.9ათასი ლარი;
- ქალაქისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში გზებზე ავარიული მონაკვეთების მოსაწესრიგებლად და სხვადასხვა მცირე ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად სპეც/ტექნიკის მომსახურება 116.0 ათასი ლარი;
- სოფელ ზოვრეთში სვიანაძე-ჭაბუკიანების-ჯიქიძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია 181.6 ათასი ლარი;
- სოფელ ქვედა საქარაში არსენაძე-ჩიბურდანიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია 133.5 ათასი ლარი;
- სოფ.ქვედა საქარაში ქათამაძეების უბანში ვახტანგი ლაზაძის სახლთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 4.3 ათასი ლარი;
- სოფელ არგვეთაში კობახიძეები-ფანჩულიძეები გზის რეაბილიტაცია 25.4 ათასი ლარი;
- სოფელ ზედა საქარაში კახელების უბნის გზის რეაბილიტაცია 38.4 ათასი ლარი;
- სოფელ მარჯვენა რკვიის საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 36.5 ათასი ლარი;

- სოფელ დილიკაურში ღავთაძე-ჩხეიძეების უბნის გზის რეაბილიტაცია 41.8 ათასი ლარი;
- კვალითის დასახლებაში შათირიშვილის ქ. #9 საწრეტი არხის მოწყობა 27.1 ათასი ლარი;
- სანახშირის, შროშისა და ძირულის თემებში სპეცტექნიკის გარეშე მასალების შეტანა 2.4ათასი ლარი;
- მზა ბეტონის შესყიდვა 11.0 ათასი ლარი;
- სოფელ არგვეთაში გაფრინდაშვილების გზის რეაბილიტაცია 44.9 ათასი ლარი;
- ფრაქციული ღორღი 57.9 ათასი ლარი;
- ცხენთაროში მემანიშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია 2.5 ათასი ლარი;
- დილიკაურში ბუქსიანიძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია 3.8 ათასი ლარი;
- ზედა საქარაში პატარა მალაღურაძეების გზის რეაბილიტაცია 32.6 ათასი ლარი;
- პლასტმასის ავზების შესყიდვა - 5,4 ათასი ლარი;
- საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე დაიხარჯება 300.0 ათასი ლარი;
- რეგიონალური განვითარების ფონდიდან მისაღები კაპიტალური ობიექტების თანადაფინანსებისათვის 400,0 ათასი ლარი.

-დარჩენილი **5430.8** ათასი ლარი, პრიორიტეტის ფარგლებში მიმართული იქნება მოქალაქეთა მოთხოვნებიდან გამომდინარე სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. ქალაქის საცხოვრებელი უბნების, ეზოების, დასასვენებელი პარკების, სკვერების, სპორტული მოედნების და მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების კაპიტალური შეკეთება და ეზოების კეთილმოწყობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების აღდგენა-რეაბილიტაცია, სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარება, გზების კაპიტალური და მიმდინარე შეკეთება. კერძოდ მოხრეშვა-მოშანდაგება, ნაწილობრივ ასფალტო ფენილის გზების დაგება, მარტივი ტიპის წყალსადენების მოწყობა, არსებული ხიდ-ბოგირების შეკეთება და რეაბილიტაცია.უსინათლოთა ბილიკებისა და პანდუსების მოწყობა და სხვა.

**0202 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია სულ 1038.9 ათასი ლარი.** მათ შორის:

**020205 გარე განათების მოვლა-პატრონობა სულ 1038.9 ათასი ლარი.**

მომუშავეთა რიცხოვნობა 6.0 საშტატო ერთეული. ერთი საშტატო ერთეულის ერთი თვის საშუალო ხელფასი 1890.00 ლარი. ( **გათვალისწინებულია თანამდებობრივი სარგოს 10%-იანი ზრდა).**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზებზე, სოფლებში (ნაწილობრივ), პარკებისა და სკვერებში არსებული გარე განათების მოვლა-პატრონობა. კერძოდ, აღნიშნულ მონაკვეთზე არსებული გარე განათების ბოძების, ლამპიონების შეკეთება, საჭირო ნაწილების შეძენა და გამოცვლა და სხვა ღონისძიებები.

**0204 საპროექტო დოკუმენტაციისა და საამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურეობა** სულ 500.0 ათასი ლარი

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ 2026 წლის განმავლობაში 20,0 ათას ლარზე მეტი ღირებულების განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების საამშენებლო სამუშაოებზე ექსპერტიზისა და ტექნიკური საზედამხედველო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება.

**0300 დასუფთავება და გარემოს დაცვა სულ 3754.0 ათასი ლარი.** მათ შორის:

**0301 დასუფთავების ღონისძიებები სულ 3709.4 ათასი ლარი.**

აქედან:

**030101 დასუფთავება და ნარჩენების გატანა სულ 3406.1 ათასი ლარი.**

მომუშავეთა რიცხოვნობა 149.0 საშტატო ერთეული. ერთი საშტატო ერთეულის ერთი თვის საშუალო ხელფასი 1368.00 ლარი. **(გათვალისწინებულია თანამდებობრივი სარგოს 10%-იანი ზრდა).**

პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრი ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: ზედა საქარა, ქვედა საქარა, ქვედა საზანო, სასახლე, დილიკაური, რკვია, ზოსლევი, პირველი სვირი (ნაწილობრივ), მეორე სვირი (ნაწილობრივ), არგვეთა, შროშა, სადგურ სვირი, როდინაული, ცხენთარო, აჯამეთი, ფუთი,ძირულა, ზოვრეთი, თვრინი, წითელიმიწა, საღვინე, კვალითი, ცხრაწყარო, კლდეეთი, ტაბაკინი, ალავერდი, შროშა, დაბა შორაპანი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 120 მ/კუბ ნარჩენი, ყოველდღიურად მუშაობს 6 ნაგავმზიდი და 4 ერთეული თვითმცლელი ავტომანქანა.

ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით ყოველდღიურად (უმეტეს შემთხვევებში) ნაგავსაყრელებზე დამატებით გადის 15-20მ/კუბ ნარჩენი. შეგროვებული ნარჩენები გადის თერჯოლის ნაგავსაყრელზე.

გარდა ამისა, განხორციელდება რკინისა და პლასმასის საყოფაცხოვრებო ნარჩენების დაზიანებული კონტეინერების და დაზიანებული დეკორატიული ურნების სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები. სანიარვრე არხებისა და ჭების გასუფთავებითი ღონისძიებები. აგრეთვე სანიაღვრე ცხაურების რემონტი და აღდგენა.

**030103 კეთილმოწყობისა და მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა და განვითარება**
**სულ 288.0 ათასი ლარი.**

დასაქმებულთა რაოდენობა 13 საშტატო ერთეული. ერთი საშტატო ერთეულის ერთი თვის საშუალო ხელფასი 1660.00 ლარი. **(გათვალისწინებულია თანამდებობრივი სარგოს 10%-იანი ზრდა).**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა, სარეველა ბალახების და ეკალ- ბარდების გაცელვითი სამუშაოები.

**030104 უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები**
სულ 15.3 ათასი ლარი.

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების დაჭერა, საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად ჰუმანური/ უმტკივნეულო მეთოდებით ხელით/ლასოთი/ბადით; დეჰელმენტიზაცია (დამუშავება ჭიებზე, გარეპარაზიტებზე) სტერილიზაცია/კასტრაცია/ვაქცინაცია, იდენტიფიკაცია (სპეციალური ძაღლისათვის განკუთვნილი ქარხნული დანომრილი საჭდით, ბირკით ან საჭიროების შემთხვევაში ჩიპით) თითოეული მონაცემის ასახვა სარეგისტრაციო შესაბამის ბლანკში და ყველა საჭირო პროცედურის შესრულების შემდგომ დაბრუნება აყვანის ადგილას.

**030104 მყარი ნარჩენების მართვა (ნაგავმზიდები)**
**სულ 44.6 ათასი ლარი.**

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტს შორის 2017 წლის 10 მარტს გაფორმებული -,,საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ქონების გადაცემის სასესხო N59 ხელშეკრულების ფარგლებში დასაფარი სესხის ძირითადი თანხა 2026 წელში შეადგენს 42.6 ათ. ლარს, ხოლო პროცენტი 2.0 ათასი ლარს.

**0400 განათლება**

სულ 7449,2 ათასი ლარი ანუ 1405.9 ლარით მეტი, ვიდრე 2025 წელს. მათ შორის:

**0401 ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფუნქციონირება**

**სულ 7361.2 ათასი ლარი** ანუ 2025 წელთან შედარებით 1399.5 ათასი ლარით მეტი.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში ფუნქციონირებს 41 სტრუქტურული ერთეული, 77 სასწავლო სააღმზრდელო ჯგუფით 1481 (ტარიფიკაციით)აღსაზრდელით, 464,25 საშტატო ერთეულზე დასაქმებული 528 მუშაკით.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ 2016 წელს მიღებული კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ, წლების განმავლობაში, პრიორიტეტად მიიჩნია სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის, მთავრობის მიერ დამტკიცებულ სტანდარტებამდე დაახლოება. ( კერძოდ კვების, ჰიგიენის, ინფრასტრუქტურის, სასწავლო აღმზრდელობითი პროცესების და კადრების კვალიფიკაციის ამაღლება).გამახვილდა ყურადღება უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის, როგორც აღსაზრდელთათვის ასევე მომსახურე პერსონალისათვის.

მუნიციპალიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში ბავშთა დასწრების საშუალო გამტარიანობა გათვლილია 950 ბავშვზე და ერთი ბავშვის კვების დღიური ღირებულებით 6.42 ლარი. (ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, რაც არ შეესაბამება ბიუჯეტში დაგეგმილ კვების მუხლში ასახულ რესურს, რომელიც დაზუსტებული იქნება 2026 წელში ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე).

დასაქმებულების რაოდენობა 464.25 საშტატო ერთეული. ერთი საშტატო ერთეულის ერთი თვის საშუალო ხელფასი შეადგენს 1032.00 ლარს. **(გათვალისწინებულია თანამდებობრივი სარგოს 10%-იანი ზრდა).**

**0402 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია სულ 5.0 ათასი ლარი. მათ შორის**

- საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 5.0 ათასი ლარი.

**0405 ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასრუქტურის რეაბილიტაცია მშენებლობა 10.0 ათასი ლარი.**

- საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 10.0 ათასი ლარი.

**0403 ზოგადი განათლების ხელშეწყობის დაფინანსება**

**სულ 73.0 ათასი ლარი.**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია; ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით 100% იანი გრანტის მფლობელი მოსწავლეების წახალისება. წარმატებული მოსწავლეებისა და სტუდენტების სხვადასხვა სასწავლო საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობის თანადაფინანსება.

**0500 კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები**

**სულ 5574.0 ათასი ლარი.**

მათ შორის:

**0501 სპორტული განვითარების ხელშეწყობის დაფინანსება**

**სულ 1919.8 ათასი ლარი.**

აქედან:

**050101 მომსახურეობა დასვენებისა და სპორტის სფეროში (სპორტის ღონისძიება).**

**სულ 169.6 ათასი ლარი**

-ასიგნებანი მიმართული იქნება შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, პირველობა მინი ფეხბურთში, კალათბურთში, სამბოში, კრივში, კიკბოქსინგში,საქართველოს

დამოუკიდებლობის დღისთვის მიძღვნილი სპორტული ღონისძიება - ქართულ ჭიდაობაში- ფალავანის გამოვლინება. ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში, სამბოში, ჩატარდება ზაზა ედიბერიძის ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ზურაბ დეკანოსიძის ტურნირი კრივში,ზაზა ფერაძის ტურნირი ფეხბურთში, მდინარი ბებიაშვილის ხსოვნის ტურნირი ფეხბურთში, სიმონ საყვარელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ფარიკაობაში, მუნიციპალიტეტის პირველობა ჭადრაკში, სასტენდო სროლა,ნარდი, ტენისი, დოღი,იმერეთის თასი მინი ფეხბურთში. გაიწევა ხარჯები საქართველოსა და საერთაშორისო ტურნირებში სპორტსმენთა მივლინებისა და პრემირებისათვის, საქართველოს, ევროპისა და მსოფლიოს თასის მედალოსანი ჩემპიონი სპორტსმენების, მწვრთნელების დაჯილდოებისათვის.

**050102 ა(ა) იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ს.საყვარელიძის სახელობის სპორტული სკოლა**
**სულ 692.4 ათასი ლარი.**

დასაქმებულთა რაოდენობა 43 საშტატო ერთეული. ერთი საშტატო ერთეულის ერთი თვის საშუალო ხელფასი 912.00 ლარი.(**გათვალისწინებულია თანამდებობრივი სარგოს 10%-იანი ზრდა).**

სპორტული სკოლა აერთიანებს 13 სპორტულ მიმართულებას: ესენია ფარიკაობა , ველოსპორტი, კრივი, კინკბოქსინგი, ჭადრაკი, ძიუდო , ქალთა ძიუდო , სამბო , ქართული ჭიდაობა , თვისუფალი ჭიდაობა , ბერძნულ რომაული ჭიდაობა , რაგბი, კარატე;

სულ სპორტულ სკოლაში სპორტულ სახეობას ეუფლება 747 ბავშვი, რომელთაც საწვრთნელი პროცესი უტარდებათ კვირაში-3 ჯერ. სპორტლ სკოლაში დასაქმებულია ჯამში 38 კაცი, მათ შორის 13 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 25 მწვრთნელი.

სპორტული სკოლის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში, როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.

.

**050103 ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მ.სალაძის სახელობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი**
**სულ 1047.8 ათასი ლარით.**

დასაქმებულთა რაოდენობა 51 საშტატო ერთეული. ერთი საშტატო ერთეულის ერთი თვის საშუალო ხელფასი 1168.00 ლარი.(**გათვალისწინებულია თანამდებობრივი სარგოს 10%-იანი ზრდა**).

ცენტრი აერთიანებს 10 სპორტულ მიმართულებას.ესენია: ფეხბურთი 8 ჯგუფი 250 ბავშვი,ქართთული ჭიდაობა 1ჯგუფი-15 სპორტსმენი.,მაგიდის ჩოგბურთი 1ჯგუფი 25 ბავშვი,კუნგფუ 1ჯგუფი--22 ბავშვი,კალათბურთი ვაჟები 2 ჯგუფი--60 ბავშვი.,კალათბურთი გოგონები 1 ჯგუფი---25 ბავშვი,ჭიდაობა ძიუდო 3ჯგუფი-- 60 ბავშვი ჭიდაობა სამბო 2 ჯგუფი-- 50 ბავშვი, ხელბურთი 1ჯგუფი--15 ბავშვი, კრივი 2 ჯგუფი48 ბავშვი,სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 570 ბავშვი,რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში სამჯერ .სპორტულ გამაჯანსაღებელლ ცენტრში დასაქმებულია 38 ადამიანი,მათ შორის 20 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 18 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს,მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შერჯიბრებებში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე საზღვარგარეთ.

- გარდა საბიუჯეტო სახსრებისა, განსაზღვრულია ფედერაციიდან საკუთარი სახსრების მიღება 200,0 ათასი ლარის, რომელიც მიმართული იქნება ზესტაფონის მ.სალაძის სახ.სპორტულ გამაჯანსაღებელი ცენტრის ბაზაზე არსებული "მარგვეთი2006"საფეხბურთო გუნდის დასაფინანსებლად.

**050105-დასვენების და სპორტული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის , მოწყობის, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია. სულ-10.0 ათასი ლარი.**

მათ შორის:

საპროექტო სახარჯააღრიცხვო დოკუმენტაციის შესადგენი მომსახურებისათვის-10,0 ათასი ლარი.

**0502 კულტურის განვითარების ხელშეწყობის დასაფინანსებლად განსაზღვრულია 3060.4 ათასი ლარი** ანუ 2025 წელთან მიმართებაში 630.7 ათასი ლარით მეტი.
მათ შორის:

**050201 ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლის დაფინანსება განისაზღვრა 134.3 ათასი ლარით** ანუ 2025 წელთან შედარებით 25.2 ათასი ლარით მეტი.

დასაქმებულთა რაოდენობა 11 საშტატო ერთეული. ერთი საშტატო ერთეულის ერთი თვის საშუალო ხელფასი 970.00 ლარი. **(გათვალისწინებულია თანამდებობრივი სარგოს 10%-იანი ზრდა).**

სკოლაში სწავლება მიმდინარეობს სკოლის შინაგანაწესისა და სამხატვრო სკოლის პროგრამის მიხედვით. მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და დაინტერესების შესაბამისად. შემდეგ დისციპლინებში. ხატვა, ფერწერა, კომპოზიცია, ქანდაკება, დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნება. (გობელინი, ხეზე კვეთა, მინანქარი). ძირითადი აქცენტი გადატანილია ნახატის შესწავლაზე (ნატურმორტები) მასალა. აკვარელი, გუაში აკრილი.

2025-2026 სასწავლო წლის განმავლობაში სწავლას ეუფლება 203 მოსწავლე. (4 კლასი და 1აბიტურიენტთა და 1 მოსამზადებელი ჯგუფი).მოსამზადებელ ჯგუფში ყოველთვიურად წახალისების მიზნით ეწყობა გამოფენები.წელიწადში ორჯერ 1 და 2 სემესტრის დამთავრების შემდეგ შეფასება- შემაჯამებელი გამოფენა.

გარდა საბიუჯეტო დაფინანსებისა, მოსაზიდია საკუთარი სახსრები 11.0 ათასი ლარი, რომელიც მიმართული იქნება საქონელი და მომსახურების ღონისძიებების დასაფინანსებლად.

**050102 ა(ა) იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის დაფინანსება განსაზღვრულია 430.2 ათასი ლარით** ანუ 81.1 ათასი ლარით მეტი, ვიდრე 2025 საბიუჯეტო წელს.

დასაქმებულთა რაოდენობა 31 საშტატო ერთეული. ერთი საშტატო ერთეულის ერთი თვის საშუალო ხელფასი 1016.00 ლარი.(გათვალისწინებულია თანამდებობრივი სარგოს 10%-იანი ზრდა).

-მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 18 საბიბლიოთეკო ქსელი, აქედან; 1 ცენტრალური ბიბლიოთეკა, 1 საბავშვო, 2 საქალაქო, 1 წიგნთსაცავი და 13 სასოფლო ბიბლიოთეკა, რომლის წიგნთა ფონდი შეადგენს 154487 ერთეულს, წიგნთა ფონდის განახლება ხდება ყოველწლიურად

.ცენტრალური ბიბლიოთეკა მასში შემავალი განყოფილებებით წარმოადგენს საინტერესო და მიმზიდველ ადგილს საზოგადოებრივ თავშეყრისას, აქ იკრიბებიან ყველა თაობის ადამიანები, იღზენ განათლებასა და ახალ ინფორმაციებს, აქ ხდება შეხვედრები სხვადასხვა დარგის მუშაკებთან,რაიონის ხელმძღვანელობასთან. ბიბლიოთეკა ხელს უწყობს ახალგაზრდობის სწორად ინფორმირებას.

**050203 ა(ა) იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტთან არსებული კულტურისა და შემოქმედებითი ცენტრის დაფინანსება განსაზღვრულია 1124.5 ათასი ლარით** ანუ 256.5 ათასი ლარით მეტია, ვიდრე 2025 წელს.

დასაქმებულთა რაოდენობა 93 საშტატო ერთეული. ერთი საშტატო ერთეულის ერთი თვის საშუალო ხელფასი 920.00 ლარი.**(გათვალისწინებულია თანამდებობრივი სარგოს 10%-იანი ზრდა).**

კულტურისა და შემოქმედების ცენტრი აერთიანებს შემდეგ შემოქმედებით კოლექტივებს ესენია: სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ,,ზესტაფონი" (43 კაცი); ბავშვთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ,,ჯავარდენი" - ლოტბარი, ქორეოგრაფი და 2 აკომპანიატორი ( 60 ბავშვი ); ხალხური საკრავების სტუდია - ხელმძღვანელი (14 ბავშვი); საბავშვო თეატრ-სტუდია ,,იმერეთის მარგალიტები" - რეჟისორი და სცენარისტი, მხატვარ-დეკარატორი, სცენის მემანქანე ( 15 ბავშვი); ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი ; გამოყენებითი ხელოვნება - ხელმძღვანელი-(5 ბავშვი); თოჯინების თეატრი - რეჟისორი, მხატვარი, ხმის ოპერატორი მსახიობი 4; მომღერალ ქალთა ანსამბლი - ლოტბარი და ანსამბლის წევრები 11; ცენტრის ადმინისტრაციულ და ტექნიკურ პერსონალს შეადგენს 19 კაცი.დაბა შორაპნის კლუბის გამგე (1).ახალგაზრდული თეატრ სტუდია( 2კაცი.) რეისორი და რეისორის ასისტენტი. (37 ბავშვი)

კულტურის ცენტრის ძირითადი მიზანია კლასიკური და ხალხური შემოქმედების განვითარება - პოპულარიზაცია; ესთეტიკური, კულტურული, გასართობი და ინფორმაციული საქმიანობა.

- ანსამბლებსა და თვითშემოქმედებით კოლექტივებში ბავშვთა და მოზარდთა მოზიდვა;
- შემოქმედებითი კოლექტივების აქტიური მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო ფესტივლებში;

გარდა საბიუჯეტო სახსრებისა მოსაზიდია საკუთარი სახსრები 25.0 ათასი ლარი, რომელიც მიმართული იქნება საქონელი და მომსახურების ღონისძიებების დასაფინანსებლად.

**050204 ა(ა) იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების დაფინანსება განსაზღვრულია 157.2 ათასი ლარით** ანუ 12.8 ათასი ლარით მეტი, ვიდრე 2025 წელს.

915 ლარი. **(გათვალისწინებულია თანამდებობრივი სარგოს 10%-იანი ზრდა).**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მუზეუმების გაერთიანებაში შემავალი ორი მუზეუმი: გენიალური ქართველი მსახიობის უშანგი ჩხეიძის სახლ-მუზეუმი და გივი ჯაოშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. მუზეუმების გაერთიანებაში დასაქმებულია ჯამში 12 ადამიანი. მუზეუმების გაერთიანების ფუნქციონირების მიზანია: 1. მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია ფართო მასებში. 2. საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება, 3. ლექცია-სემინარების ჩატარება, 4. საჯარო და კერძო სკოლების ჩართულობა ჩამოთვლილი ღონისძიებები ემსახურებიან ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების განვითარებას. მუზეუმების გაერთიანების ძირითად პრიორეტიტულ მიმართულებას წარმოადგენს მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია ფართო მასებში. მუზეუმების ძირითადი დანიშნულებაა, საზოგადოების დაინტერესება სამუზეუმო ცხოვრებით. ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებებით გაერთიანება ემსახურება ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების განვითარებას. აღნიშნულ ღონისძიებებში ჩართულნი არიან საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები, მუნიციპალიტეტის ღირსეული და გამოჩენილი პიროვნებები, მუზეუმების კარი ღიაა ყველა დაინტერესებული პირისათვის როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ტურისტებისათვის.

**050205 ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის რ.ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლის დაფინანსება განსაზღვრულია 488.3 ათასი ლარით** ანუ 2025 წელთან მიმართებაში 116.9 ათასი ლარით მეტი.

დასაქმებულთა რაოდენობა 49 საშტატო ერთეული. ერთი საშტატო ერთეულის ერთი თვის საშუალო ხელფასი 802.00 ლარი(**გათვალისწინებულია თანამდებობრივი სარგოს 10%-იანი ზრდა**).

რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში ფუნქციონირებს ორ საფეხურიანი სწავლება; ექვსწლედი და ცხრაწლედი. სამუსიკო სკოლაში გაერთიანებულია საფორტეპიანო, გიტარის, ვიოლინოს და ვოკალური განყოფილებები.

სკოლაში განათლებას იღებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 251 ბავშვი. სკოლაში დასაქმებულია 49 თანამშრომელი, აქედან 40 პედაგოგი და 9 ადმინისტრაციული თანამშრომელი.

ასევე სკოლას აქვს საკუთარი შემოსავლები, რაც გამოიყენებოდა სკოლის ხარჯისათვის. გარდა საბიუჯეტო დაფინანსებისა, მოსაზიდია საკუთარი სახსრები 30.1ათასი ლარი, რომელიც მიმართული იქნება საქონელი და მომსახურების ღონისძიებების დასაფინანსებლად.

**050206 ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ე. შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლა 445.0 ათასი ლარი** ანუ 2025 წელთან მიმართებაში 127.5 ათასი ლარით.

დასაქმებულთა რაოდენობა 39,5 საშტატო ერთეული. ერთი საშტატო ერთეულის თვის საშუალო ხელფასი 855.00 ლარი **(გათვალისწინებულია თანამდებობრივი სარგოს 10%-იანი ზრდა).**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი ე. შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლაში ფუნქციონირებს ორ საფეხურიანი სწავლება; ექვსწლედი და ცხრაწლედი. ხელოვნების სკოლაში გაერთიანებულია საფორტეპიანო, თეორიული, საორკესტრო განყოფილება, კლასიკური ვოკალი, საესტრადო სიმღერები, კლასიკური გიტარა, მოყვარული გიტარა, ხალხური საკრავები, მსოფლიოს ხალხთა ცეკვები, ქართული ხალხური ცეკვები, მხატვრული ტანვარჯიში.

ზესტაფონის ელდარ შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლაში განათლებას იღებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 207 მოსწავლე. სკოლაში დასაქმებულია 41 თანამშრომელი, აქედან 32 პედაგოგი და 9 ადმინისტრაციის თანამშრომელი.

ხელოვნების სკოლის ქვეპროგრამის მიზანია: შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარების და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა, კულტურული ღონისძიებების ჩატარება, მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში, როგორც საქართველოში ისე ქვეყნის გარეთ.

გარდა საბიუჯეტო დაფინანსებისა, მოსაზიდია საკუთარი სახსრები 25.6 ათასი ლარი, რომელიც მიმართული იქნება საქონელი და მომსახურეობის ღონისძიებების დასაფინანსებლად.

**050207- ძეგლთა დაცვის დაფინანსება**

სულ 2,2 ათასი ლარი.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მოვლა-პატრონობა, დაცვა და შენარჩუნება.

**050208 იუბილეებთან დაკავშირებული ხარჯები**

**სულ 201.3 ათასი ლარი,** რომელიც 133.4 ათასი ლარით მეტია, ვიდრე 2025 წელს.

ზემოთ აღნიშნული თანხა, მიმართული იქნება: სხვადასხვა ფესტივალის ორგანიზებისათვის; კერძოდ: ლირიული სიმღერის ფესტივალი „სულიკო-2026“, სახალხო ზეიმი ,,ზესტაფონობა'' 2026 და სხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად.

**050209 კულტურის დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, რეაბილიტაციის, ექსპლოატაციის, ფუნქციონირების ხელშეწყობა**

**სულ 10.0 ათასი ლარი**. მათ შორის:

საპროექტო სახარჯააღრიცხვო დოკუმენტაციის შესადგენი მომსახურებისათვის-10,0 ათასი ლარი.

**050210 კულტურული ღონისძიებების დაფინანსება**

**სულ 67.4 ათასი** ლარი ანუ 2025 წელთან მიმართებაში 1.3 ათასი ლარით მეტი.

დაფინანსდება შემდეგი ღონიძიებები: ქართული თეატრის დღე,ეროვნული დროშის დღე, დედის დღე, ოკუპაციის კვირეული, 9-26 მაისი, ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსაბლების დათვალიერება,ქართული ეროვნული სამოსის დღე, მუზეუმების საერთაშორისო დღე, ბავშვთა სიმღერის ფესტივალი, ბავშვთა ქორეოგრაფიული ფესტივალი,სოხუმის დაცემის დღე, საახალწლო ღონისძიებები და სხვა ხარჯები.

**0503 ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება**

**სულ 75.2 ათასი ლარი.**

რომელიც მიმართული იქნება შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად: წიგნის საჯაროდ კითხვის დღე, 3-8 მარტის დღესასწაულები, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე, 9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ფოტოკონკურსი, 26 მაისი - დამოუკიდებლობის დღე, 31 მაისი- გარემოს დაცვის დღე, თამბაქოს წინააღმდეგ დღის აღნიშვნა, ბავშვთა დაცვის დღე,, ფოტოკონკურსი, ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დღე, ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსება და სხვა ღონიძიებები.

**0504 ეპარქიის ხარჯები**

სულ 168.6 ათასი ლარი.

მარგვეთისა და უბისის ეპარქიის სუბსიდირება -ეპარქიის ხელშეწყობის მიზნით.

**0505 ა(ა) ი.პ. საკალათბურთო კლუბი ,,მარგვეთი“**

სულ 350.0 ათასი ლარი,

საკალათბურთო კლუბი მარგვეთი ექვსი წელია ასპარეზობს საქართველოს ჩემპიონატში.მარგვეთი 3 წელი ასპარეზობდა საქართველოს ჩემპიონატის „ა“ ლიგაში და მესამე -2021 წელს გახდა „ა“ ლიგის ჩემპიონი, რითიც დაიმსახურა სუპერლიგაში გადასვლა. სუპერლიგის 2021-2022 საკალათბურთო სეზონში მარგვეთმა შეძლო მე-6 ადგილის დაკავება, ხოლო კლუბმა გასული 2024-25 წლების საკალათბურთო სეზონზე მიაღწია დიდ წამატებას, რეგულარულ გათამაშებაში მოხვდა რვა საფლეიოფო გუნდს შორის, ხოლო ფლეი ოფში ითამაშა ნახევარფინალი და საქართველოს ჩემპიონატში (სუპერლიგა) მე-3 ადგილი დაიკავა. ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა

ქალაქ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერამ, რითიც კლუბმა შეძლო მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა.

მიმდინარე 2025-26 საკალათბურთო სეზონისთვის კლუბი აგვისტოს თვიდან იწყებს მომზადებას, და დასახული აქვს მიმდინარე სეზონშიც გააუმჯობესოს წინა წლების შედეგები და იბრძოლოს საქართველოს ჩემპიონობისათვის. ჩვენთვის ცნობილია რომ ქალაქ ზესტაფონის მერია დაინტერესებულია რომ ზესტაფონში არსებული საკალათბურთო დარბაზი მუდმივად იყოს ფიბას მიერ დაწესებულ სტანდარტებში, რითაც შესაძლებელი იქნება საქართველოს ჩემპიონატის თამაშების მასპინძლობა, ჩვენი კლუბი უკვე მეორე სეზონია საშინაო მატჩებს მართავს ზესტაფონში, კლუბისთვისაც და ქალაქ ზესტაფონის მუნიციპალიტეტისთვისაც პრიორიტეტულია საკუთარ კედლებში უმასპინძლოს საქართველოს ჩემპიონატის თამაშებს, რათა გაახაროს გულშემატკივართა მრავალრიცხოვანი არმია. მიმდინარე 2024-25 წლების საკალათბურთო სეზონში კლუბს მიზნად აქვს დასახული, გააუმჯობესოს წინა წლების შედეგები და იბრძოლოს საქართველოს ჩემპიონობისათვის.

ამდენად, მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას გაუწიოს გუნდს დახმარება- კლუბის საჭიროებებიდან გამომდინარე.

**0600 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

**სულ 4012.3 ათასი ლარი** ანუ 2025 წელთან მიმართებაში 302.5 ათასი ლარით მეტი.

მათ შორის:

**060101 ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ზესტაფონის მუნიციპალური ცენტრის დაფინანსება**

**290.8 ათასი** ლარი (დელეგირებული უფლებამოსილება).

დასაქმებულთა რაოდენობა 13 საშტატო ერთეული. ერთი საშტატო ერთეულის ერთი თვის საშუალო ხელფასი 1795.00 ლარი ( **არ არის გათვალისწინებულია თანამდებობრივი სარგოს 10%-იანი ზრდა).**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და საგანგებო სიტუაციების მართვა, კომპენტენციის ფარგლებში. (წესდების შესაბამისად). პირველადი ეპიდკვლევების განხორციელება, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა.ეპიდზედამხედველობის სისტემაში პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა.დაავადებათა ერთეული და ჯგუფური შემთხვევების დაფიქსირება-პრევენციული ღონისძიებები. დაავადებათა სეზონურობიდან გამომდინარე, დაავადებათა შემთხვევებზე აქტიური და პასიური ზედამხედველობის დამყარება, შედეგების დაგროვება დამუშავება რაოდენობრივად, ასვე ხარისხობრივად. დაავადებათა სტატისტიკური მაჩვენებლების გამოთვლა . პროფილაქტიკური აცრები ეროვნული კალენდრით განსაზღვრული, იმუნიპროფილაქტიკისთვის, საქართველოს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოც. დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა, სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის. ,,ცხოვრების ჯანსაღი წესის „ ღონისძიებების დამკვიდრების ხელშეწყობა, ჯანმრთელობის ხელშეწყობა, მოსახლეობის ინფორმირებულობა.ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებაში ინფექციურად გადამდები დაავადებების (შიდსის, ც და ბ ჰეპატიტების, კანის და საფარველის დაავდებების შემცირება, ტუბერკულოზის შემთხვევების შემცირება, სამედიცინო დაწესებულებებში ნოზოკომიური ინფექციების კონტროლი შემცირების მიზნით, თამბქოს მომხმარებელთა რაოდენობის შემცირება და თავშეყრის ადგილებში წესების დამკვიდრება.

ასევე განსაზღვრულია საკუთარი სახსრები 5.0 ათასი ლარი, რომელიც მიმართული იქნება ეპიდუსაფრთხოების პროგრამისა და თამბაქოსა და ტყვიის კონტროლის ჩარჩო-კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის შესასრულებლად.

**0602 სოციალური პროგრამები სულ 3684.1 ათასი ლარი , რაც 2025 წლის ხარჯებთან 280.6 ათასი ლარით მეტია.**
აღსანიშნავია,რომ :

**060201 - მუნიციპალიტეტში მცხოვრები პირების ფინანსური დახმარება 1469.0 ათასი ლარი ანუ 117.8 ათასი ლარით მეტი 2025 წლის შესაბამის მაჩვენებელზე. ქვეპროგრამა ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:**

1)ლეიკემიით, ჰემოფილიით და თალასემიით დაავადებულ ბენეფიციართა ფინანსური დახმარება განისაზღვროს 600.00 ლარით .

2) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბენეფიციარებს, რომელთა დიაგნოზია ცერებრალური დამბლა, აუტიზმი და დაუნის სინდრომი განესაზღვროთ დახმარება 600.00 ლარი .

2.1 ზესტაფონის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა ( ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებეის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელება).

3) 18 წლამდე ასაკის ბენეფიციარები, რომლებთაც მინიჭებული აქვთ შ.შ.მ. პირის სტატუსი გარდა იმ პირებისა რომელთა დიაგნოზია ცერებრალური დამბლა, აუტიზმი და დაუნის სინდრომი, განესაზღვროთ დახმარება თითოეულს -200.00 ლარის ოდენობით. შშმ სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბენეფიციარები რომელთა დიაგნოზია ნეიროსენსორული სმენაჩლუნგობა დახმარება ერთჯერადად 1 200.00 ლარი.

4) მარტოხელა ოჯახები (დედა, მამა) რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის ბავშვი/ბავშვები დახმარება განისაზღვროს 200.00 ლარით.

5) მრავალშვილიანი ოჯახების (4 და მეტი არასრულწლოვანი შვილი) დახმარება განისაზღვროს 500.00 ლარი.

6) ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური კვლევა. დახმარების მაქსიმალური ზღვრული ოდენობა 200.00 ლარი .

7) რადიოაქტიური იოდით მკურნალობა -500.00 ლარი.

8) ონკოლოგიური ავადმყოფების დახმარება - 500.00 ლარი. წლის განმავლობაში ქიმიო და სხივური თერაპიით, მედიკამენტებით მკურნალობისათვის დამატებით 200.00 ლარი.

9) ოფთალმოლოგიური დაავადების მქონე პაციენტებისათვის ავასტინის ინექცია / ინექცია მინისებურ სუბსტანციაში) ფინანსური დახმარება – 300.00 ლარი.

10),,განსაკუთრებულ შემთხვევებში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და მცხოვრებ, უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებზე დახმარება". ოჯახი/პირი დახმარება განისაზღვროს 100-დან არაუმეტეს 500.00 ლარი, წლიური ბიუჯეტი 320 000.00 ლარი.

11) ,,გადაუდებელი საჭიროების " ღონისძიება. ითვალისწინებს კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების გადაუდებელ მხარდაჭერას.
დახმარება ერთ ოჯახზე არაუმეტეს 1000.00 ლარისა.

12) მოსახლეობისათვის მტაცებელი ცხოველებიდან მიყენებული ზარალის ანაზღაურება. ბიუჯეტი 50 000.00 ლარი.

13) ,,სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საშეშე მერქნით დახმარება" - ბიუჯეტი 90 000.00 ლარი.

14). ხანდაზმულთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება 60 60+ ბიუჯეტი- 10 000.00 ლარი ხანდაზმულთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრირება ძირითადი სამიზნე ჯგუფები პირდაპირი ქალები 60+, მამაკაცები 65+ .

15) ბავშვიანი ოჯახების დახმარება. ბიუჯეტი 27000,00 ლარი (დელეგირებული . ).

16.) სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებული ყოფილი მსჯავრდებულების ფინანსური დახმარების პროგრამა --- ერთჯერადად 500.00 ლარი.

1.11 17) რეინტეგრირებული ახალგაზრდების დახმარება; ითვალისწინებს ერთჯერადად სოციალურ დამარებას 1000.00 (ათასი) ლარის ოდენობით.

18). მაანკილოზებელი სპონდილოართრიტი M45. მედიკამენტი (სკაფო) – 900.00 ლარი.

**060202 - ეპილეფსიითა და პარკინსონით დაავადებულთა უფასო მედიკამენტები 20.0 ათასი ლარი;**

პროგრამა ითვალისწინებს მატერიალიზებული ფორმით, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის მიღმა დარჩენილი, ეპილეფსიითა და პარკინსონით დაავადებული ბენეფიციარების დახმარებას.

**060203 - თირკმლის უკმარისობით დაავადებულთა დახმარება / ფსორიაზით (გენერალიზებული ფორმა), (ვულგარული ფორმა) ხმელთაშუა ზღვის ოჯახური ცხელება და მაანკილოზებელი სპონდილოართრიტი (M45)-ით დაავადებული ბენეფიციარების დახმარება 234.6 ათასი ლარი**, ანუ 75.2 ათასი ლარით მეტი წინა წელთან შედარებით.

**ღონისძიება ითვალისწინებს დიალიზის (ჰემო და პერიტონიალურ) პროგრამაში მყოფი ბენეფიციარების ყოველთვიური დახმარება, ფსორიაზით (გენერალიზებული ფორმა), (ვულგარული ფორმა) დაავადებული ბენეფიციარების დახმარებას, ხმელთაშუა ზღვის ოჯახური ცხელება და მაანკილოზებელი სპონდილოართრიტი (M45)- ით დაავადებული ბენეფიციარების დახმარებას .**

**ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები 83 პირი/ ოჯახი.**

**060204 -სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოქალაქეებისთვის „უფასო სადილი“თ უზრუნველყოფა 170,0 ათასი ლარი .**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მატერიალური ფორმით დახმარებას ( უფასო სადილი) პირის/ოჯახის მიმართ.

სოციალური მომსახურეობის სააგენტოს ერთიან ბაზაში (სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს) სადილით უზრუნველყოფა დღეში ერთჯერ 120 ბენეფიციარის, უფასო სასადილოში ყოველდღიურად მომსახურეობა (კვებით უზრუნველყოფა).

**060205 ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა 65,0 ათასი ლარი;**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ფულადი დახმარების გაცემას იმ პირების/ ოჯახების მიმართ რომელთაც შეეძინათ ახალშობილი.

პირველ და მეორე ახალშობილზე გასაცემი თანხა 250 ლარი. ოჯახი (ახალშობილის ერთ-ერთი მშობელი) რეგისტრირებული უნდა იყოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს, გარდა დევნილისა.

მე-3, მე –4 –ე და მეტი ახალშობილის ოჯახზე – 500 ლარი, მე-7 და მეტი ახალშობილის ოჯახზე 1000 ლარი.

ტყუპი ახალშობილის ოჯახზე გასაცემი თანხა თითოეული ახალშობილისათვის 500 ლარი.

დევნილის ოჯახზე გასაცემი თანხა- 500 ლარი.

**ღონისძიება ,,ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება“**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მოქალაქისათვის, რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განესაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ან/ და სასამართლოს ან/ და ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი მიერ.

,,ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება“200.00 ლარის ოდენობით.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში /თავშესაფარში/ მყოფი პირის /ოჯახის/ თავშესაფარის დატოვების შემდეგ დამოუკიდებელი ცხოვრებისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით. გაეწევა დახმარება 100 ლარის ოდენობით ყოველთვიურად.

**060206 სტიქიით დაზარალებული ოჯახების ფულადი დახმარება 80,0 ათასი ლარი.**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ფულადი დახმარების გაცემას სტიქიის (ხანძარი) შედეგად დაზარალებული პირის/ ოჯახის მიმართ, რომელთაც მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიადგათ განვითარებული სტიქიის გამო საცხოვრებელ სახლზე.

დახმარება გაიცემა თუ სტიქია განვითარდა მიმდინარე ან წინა წლის ბოლო 6 თვის განმავლობაში. სტიქიით გამოწვეული ზიანი და ხარისხი დადასტურებულია შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის (ორგანო ,სამსახური, კომისია, სპეციალურიჯგუფი) მიერ.

**060207 სარიტუალო-გარდაცვლილთა ოჯახების ფულადი დახმარება 14.5 ათასი ლარი;**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ფულად დახმარების გაცემას სარიტუალო ხარჯების უზრუნველსაყოფად, თუ გარდაცვლილი პირი არის: სოცალური მომსახურების სააგენტოს ერთიან ბაზაში რეგისტრირებული (გარდაცველებამდე 3 თვით ადრე მაინც) და ოჯახის სარეიტინგო ქულა არ არემატება 65000 -ს მაინც 300.00 ლარის ოდენობით, დევნილის გარდაცვალებისასა- 300.00 ლარი, უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯი უნაღდო ანგარიშსწორებით არაუმეტეს 400.00 ლარი, ომის მონაწილის დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურებისათვის თანახმად მოქმედი კანონმდებლობისა -250.00 ლარი.

**060208 სადღესასწაულო დახმარება 205.0 ათასი ლარი.**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ფულადი ან/და მატერიალური ფორმით გაცემას პირის /ოჯახის ან/და სოციალური ჯგუფის მიმართ, ღირსშესანიშნავ, ტრადიციულ და ისტორიულ თარიღებთან დაკავშირებით სოციალური თანადგომა /მხარდაჭერის/ მიზნით. |მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთათვის ერთჯერადად დახმარების გაწევა 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, თითოეულზე 2000,00 ლარის ოდენობით, სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ომში დაღუპულ მეომართა ოჯახები (მეომრის მეუღლე, შვილი/მშობელი) 500.00 ლარი, დედ-მამით ობოლ ბავშვებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება თითოეულზე 500 ლარის ოდენობით, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და 100 წელს გადაცილებული ხანდაზმულების დახმარება 1000.00 ლარის ოდენობით,, 1989 წლის 9 აპრილს დაზარალებული მოქალაქეების დახმარება წელიწადში ერჯერ 300.00 ლარის ოდენობით, ჩერნობილის ატომური ელ.სადგურის ავარიის ლიკვიდაციაში 20 მონაწილის დახმარება თითოეულზე 300.00 ლარის ოდენობით , ,,პირველკლასელთა დახმარება''- თითოეულ ბავშვზე 100.00 ლარი და სხვა კომისიის მხრიდან შერჩეული პირები და სოციალური ჯგუფები.

**060209 მარჩენალდაკარგულების დახმარება 7,0 ათასი ლარი;**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ომის შემდგომ გარდაცვლილი ვეტერანის ოჯახის (მეუღლე,არასრულწლოვანი შვილი) - მარჩენალდაკარგულის ფინანსური დახმარება 100.00 ლარის ოდენობით.

**060210 - ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის უსინათლოების დახმარება 175.0 ათასი ლარი;**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული სტატუსის მქონე მხედველობით უსინათლო ბენეფიციარების ყოველთვიური დახმარებას.

უსინათლო ბენეფიციარების ყოველთვიური დახმარება , თანადგომა , საზოგადოებასთან ინტეგრირება 185 მხედველობით მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბენეფიციარი 105 მხედველობით მნიშვნელოვნად გამოხატული შეზრუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარის ყოველთვიური ფინანსური დახმარება, 20 მხედველობით ზომიერად გამოხატული ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარის ყოველთვიური დახმარება და 5 მხედველობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დახმარება ყოველთვე.

**060211- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომის მონაწილეების და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებული ბრძოლის მონაწილეების ფინანსური დახმარება 57.0 ათასი ლარი;**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეებისა და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებული ბრძოლის მონაწილეების (ვეტერანებისა და მათი ოჯახების თანადგომა -380 ოჯახი) ფინანსური დახმრება წელიწადში ერთჯერ 150.00 ლარის ოდენობით.

**060212 - საცხოვრებლით უზრუნველყოფა 500,0 ათასი ლარი.**

1. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების პრევენციის მიზნით, იმ პირების /ოჯახების მიმართ რომლებიც დგანან სიღატაკის რისკის ქვეშ (ენგრევა საცხოვრებელი სახლი, არ აქვს თავშესაფარი და სხვა) და საჭიროებს ფინანსურ დახმარებას. ბენეფიციარი განისაზღვრება განცხადების/მომართვის, შესაბამისი დოკუმენტაციის და მოკვლევის მასალების გათვალისწინებით. დახმარება განესაზღვროს 15000.00 (თხუთმეტიათასი ) ლარის ფარგლებში (შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე) ბიუჯეტი .

2. „ სტიქიური მოვლენების ან/ და რთული მეტეოროლოგიური პირობების (ქარიშხალი, უხვი ნალექი, მეწყერი, ხანძარი, ღვარცოფი, ქვათაცვენა, დიდთოვლობა და სხვა. ) შედეგად დაზარალებული ოჯახის დახმარება'' .

**060214 - ფენილკეტონურიით, ცისტური ფიბროზით, ცელიაკიით, შაქრიანი დიაბეტით და ფილტვების ინტერსტიციული ავადმყოფობით დაავადებული ბავშვების და ქრონიკული ფენილკეტონურიით დაავადებულ 18 წლის ზემოთ პირების ფინანსური დახმარება 187.00 ათასი ლარი.**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს: ფენილფენილკეტონურიით, ცისტური ფიბროზით და ცელიაკიით დაავადებულ ბავშვების ყოველთვიური ფინანსური დახმარება თითოეულზე 350 ლარის ოდენობით და ქრონიკული ფენილკეტონურიით დაავადებულ 18 წლის ზემოთ პირების დახმარება სამ თვეში ერთჯერ ექიმის ვიზიტისა და დიაგნოსტიკისათვის დახმარება - 900 ლარი. 18 წლამდე ინსულინ დამოკიდებული შაქრიანი დიაბეტის მქონე ბავშვების დახმარება თითეულზე - 350 ლარის ოდენობით ყოველ თვე.

**060215 - სამედიცინო მომსახურეობის ფინანსური დახმარება 500.0 ათასი ლარი.**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს: არასაპენსიო ასაკის მქონე მოქალაქეები, რომლებიც დაავადებული არიან კოქსართროზით და საჭიროებენ მენჯ-ბარძაყის პროტეზირებას, მათი ოჯახის სარეიტინგო ქულა 70 001-დან 100 001 ქულამდე, დახმარება განესაზღვროთ ოპერაციის ღირებულების 50%-ით (უნაღდო ანგარიშსწორებით), მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების (გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციები და მომსახურება), ღირებულების ანაზღაურების თანადაფინანსება, რომელიც განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით და ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ პაციენტის მიერ დარჩენილი სახელმწიფოს დაუფარავი სერვისების გადასახადი წილის 50 %-ით (უნაღდო ანგარიშსწორებით) პაციენტის მიერ გადასახდელი თანხა 100 ლარიდან არაუმეტეს 1000 ლარისა.

ლაბორატორიული დიაგნოსტიკა პეტ/კტ კვლევა თანადაფინანსება არა უმეტეს 1000 ლარისა.

**0603 ინტეგრირებული საქმიანობის დღის ცენტრი (წითელი ჯვარი) 37.4 ათასი ლარი.**

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით გახსნილი - ინტეგრირებული საქმიანობის დღის ცენტრი ახორციელებს მოწყვლადი ჯგუფების, კერძოდ, ხანდაზმულების სოციალურ მხარდაჭერასა და კატასტროფების რისკის შემცირების შესაძლებლობების გაზრდაზე ორიენტირებულ საქმიანობას. იგი ასევე მუშაობს ახალგაზრდების გაძლიერების და მოხალისეთა ინიციატივების განვითარების მიმართულებით, კვალიფიციურ მოხალისეთა ქსელის საშუალებით აწვდის სხვადასხვა სახის სერვისებს დაუცველ ჯგუფებს და აქტიურად და მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

**0700 -ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა**

სულ 15,6 ათასი ლარი. მათშორის:

**0701 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა**

ჩატარდება შემდეგი ღონისძიებები: მეთევზეთა ტური, შროშის ტური -მეთუნეობა.

**0100 - მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები სულ 6939.8 ათასი ლარი ანუ 553.8 ათასი ლარით მეტი, ვიდრე 2025 წლის ბიუჯეტით.**

მათ შორის:

დასაქმებულთა რაოდენობა 155 საშტატო ერთეული, ერთი საშტატო ერთეულის საშუალო თვის ხელფასი 2472.00 ლარი.

**010101 მუნიციპალიტეტის საკრებულო სულ 1513.5 ათასი ლარი.**

დასაქმებულითა რაოდენობა 29 საშტატო ერთეული. ერთი საშტატო ერთეულის ერთი თვის ხელფასი საშუალოდ 2965.00 ლარია.

**010102 მუნიციპალიტეტის მერია სულ 5136.3 ათასი ლარი.**

დასაქმებულთა რაოდენობა 126 საშტატო ერთეული. ერთი საშტატო ერთეულის ერთი თვის საშუალო ხელფასი 2358.00 ლარი.

**010104 ქალებისა და ბავშვების კეთილდღეობისათვის ზრუნვის საბჭო**
**სულ 40,0 ათასი ლარი .**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები იმ ქალთა, მამაკაცთადა ბავშვთა ფინანსურ მხარდაჭერას, რომლებიც დაკავებული არიან სამეწარმეო საქმიანობის სხვადასხვა ფორმით და საჭიროა მათი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება .

**010201 სარეზერვო ფონდი 250.00 ათასი ლარი ანუ ბიუჯეტის მოცულობის 0,7 პროცენტი.**

**მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:**

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2026 წლის პროექტი |
|---|---|---|
| | სულ ჯამი | 38124.0 |
| 01 0101 | საკრებულო | 1513.5 |
| 0101 02 | მერია | 5136.3 |
| 0101 04 | ქალთა, მამაკაცთადა ბავშვთა კეთილდღეობისათვის ზრუნვის საბჭო | 40,0 |
| 0102 01 | სარეზერვი ფონდი | 250,0 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 10379.1 |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის | 8840.2 |
| 02 01 01 | გზების მიმდინარე შეკეთება | 620.0 |
| 02 0102 | გზების კაპიტალური შეკეთება | 8220.0 |
| 020103 | საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება | 0 |
| 020104 | მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება | 0 |
| 02 02 | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 1038.9 |
| 02 0202 | ბინათმშენებლობა | 0 |
| 020203 | წყალმომარაგება | 0 |
| 020204 | გარე განათების ქსელის მოწყობა რეაბილიტაცია | 0 |
| 020205 | გარე განათების მოვლა-პატრონობა | 1038.9 |
| 0203 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები | 0 |
| 020301 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული და სხვა ღონისძიებები. | 0 |

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2026 წლის პროექტი |
|---|---|---|
| 0204 | საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება | 500.0 |
| 0205 | შპს,,ზესტაფონის მუნიციპალური პარკირების რეგულირების სწარმო“ | 0 |
| 0300 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 3754.0 |
| 0301 | დასუფთავების ღონისძიებები | 3709.4 |
| 030101 | დასუფთავება და ნარჩენების გატანა | 3406.1 |
| 030103 | კეთილმოწყობისა და მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება | 288.0 |
| 030104 | უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები | 15.3 |
| 0302 | მყარი ნარჩენების მართვა (ნაგავმზიდები) | 44.6 |
| 0400 | განათლება | 7449.4 |
| 0401 | ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირება | 7361.2 |
| 0402 | სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია მშენებლობა | 5.0 |
| 0403 | ზოგადი განათლების ხელშეწყობა | 73.0 |
| 0404 | საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა | 00 |
| 0405 | ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მშენებლობა | 10.0 |
| 0500 | კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 5574.0 |
| 0501 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 1919.8 |
| 050101 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში (სპორტის ღონისძიება) | 469.6 |
| 050102 | ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ს. საყვარელიძის სახელობის სპორტული სკოლა | 692.4 |
| 050103 | ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მ. სალაძის სახ.სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი | 1047.8 |
| 050105 | დასვენების და სპორტული დანიშნულების ობიექტების მშენებლობის , მოწყობის, რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის ხელშეწყობა | 10.0 |
| 0502 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 3060.4 |
| 050201 | ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა | 134.3 |
| 050202 | ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა | 430.2 |
| 050203 | ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტთან არსებული კულტურისა და შემოქმედების ცენტრი | 1124.5 |
| 050204 | ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება | 157.2 |
| 050205 | ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის რ. ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლა | 488.3 |
| 050206 | ა(ა)იპ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ე. შალამბერიძის სახელობის ხელოვნების სკოლა | 445.0 |
| 050207 | ძეგლთა დაცვა | 2.2 |
| 050208 | იუბილეებთან დაკავშირებული ხარჯები | 201.3 |
| 050209 | კულტურის დანიშნულების ობიექტების მშენებლობის, რეაბილიტაციის, ექსპლუატაციის, ფუნქციონირების ხელშეწყობა | 10.0 |
| 050210 | კულტურის ღონისძიებების დაფინანსება | 67.4 |

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2026 წლის პროექტი |
|---|---|---|
| 0503 | ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება | 75.2 |
| 0504 | ეპარქიის ხარჯები | 168.6 |
| 0505 | ააიპ საკალათბურთო კლუბი ,,მარგვეთი" | 350.0 |
| 0600 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 4012.3 |
| 0601 | ჯანმრთელობის დაცვა | 290.8 |
| 060101 | ააიპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მუნიციპალური ცენტრი | 290.8 |
| 0602 | სოციალური პროგრამები | 3684.1 |
| 060201 | მუნიციპალიტეტში მცხოვრები პირების ფინანსური დახმარება | 1469.0 |
| 060202 | ეპილეფსიისთა და პარკინსონით დაავადებულები | 20.0 |
| 060203 | თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება/ფსორიაზით(გენერალიზებული ფორმა), (ვულგარული ფორმა) დაავადებული ბენეფიციარების დახმარება | 234.6 |
| 060204 | სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოქალაქეებისათვის ,,უფასო სადილი-''თ უზრუნველყოფა | 170.0 |
| 060205 | ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა | 65.0 |
| 060206 | სტიქიით დაზარალებული ოჯახების ფულადი დახმარება | 80.0 |
| 060207 | სარიტუალო- გარდაცვლილთა ოჯახების ფულადი დახმარება | 14.5 |
| 060208 | სადღესასწაულო დახმარება | 205.0 |
| 060209 | მარჩენალდაკარგულების დახმარება | 7.0 |
| 060210 | ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაზლებლობის უსინათლოების დახმარება | 175.0 |
| 060211 | საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომის მონაწილეების და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოებული ბრძოლის მონაწილეების ფინანსური დახმარება | 57.0 |
| 060212 | საცხოვრებლით უზრუნველყოფა | 500.0 |
| 060214 | ფენილკეტონურიით, ცისტური ფიბროზით და ცელიაკიით დაავადებული ბავშვების ფინანსური დახმარება | 187.0 |
| 060215 | სამედიცინო მომსახურეობის ფინანსური დახმარება | 500.0 |
| 0603 | ინტეგრირებული საქმიანობის დღის ცენტრი (წითელი ჯვარი) | 37.4 |
| 0700 | ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა | 15.6 |
| 0701 | ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | 15.6 |

**მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში**

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები - 6939.8 ათასი ლარი.
ეკონომიკური საქმიანობა 9340.2 ათასი ლარი.
გარემოს დაცვა 3754.0 ათასი ლარი.
საბინაო კომუნალური მეურნეობა 1038.9 ათასი ლარი.
ჯანმრთელობის დაცვა 290.8 ათასი ლარი.
დასვენება კულტურა რელიგია 5574.0 ათასი ლარი.
განათლება 7464.8 ათასი ლარი.
სოციალური დაცვა 3721.5 ათასი ლარი.

**„ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი წარმოდგენილია:**

1. 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათი.
2. 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ პროექტი.
3. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2026-2029 წლები).
4. კაპიტალური ბიუჯეტის დანართი.
5. ა(ა)იპ-ის და შპს-ის 2026 წლის ბიუჯეტის დანართი.
6. პროგრამული ბიუჯეტის დანართი.
7. მოქლაქეთა გზამკვლევი.

**დადგენილების ავტორი**
**მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური**

**დადგენილების ინიციატორი**
**მუნიციპალიტეტის მერი**